# სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:
სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ
30 ივნისი 2020 წ.
ოქმი 30 ივნისი 2020 წ.

წინასწარ დამტკიცებულია:
სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

2020 წ. 25 მაისის ოქმი № 237

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დ.ე. ვოლკოვი

# წლიური ანგარიში 2019 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი ა.ლ. ბალჩუგოვი

2020

შინაარსი


| | გვ. |
|---|---|
| **I.** ძირითადი მოვლენები……………………………………………………….. | **4** |
| **II.** სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა ……………………………………….. | **6** |
| **III.** სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის განვითარების შედეგების შესახებ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ....................................................…………………………….. | **9** |
| **IV.** საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები ........................................................................................................ | **9** |
| **V.** ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ........................................................................................................ | **11** |
| **VI.** საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა ...................………………………………………….. | **12** |
| **6.1.** საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები………… | **12** |
| საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა….. | **14** |
| აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი……………………… | **15** |
| საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები. ………………… | **17** |
| **6.2.** ელექტრული ქსელების დახასიათება……………………………… | **19** |
| **6.3**ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები…………………….. | **19** |
| **6.4.** შრომის დაცვის, საწარმოო, სახანძრო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მართვის სისტემის რეზულტატიურობა......………….. | **20** |
| **6.5.** სს „თელასის“ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები **2019** წ. …..... | **21** |
| **6.6.** საქმიანობა რემონტების დარგში…………………………………… | **23** |
| **6.7.** ელექტროენერგიის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში………… | **23** |
| **VII.** საზოგადოების განვითარების პერსპექტივები………………………. | **24** |
| **VIII.** საზოგადოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა. | **25** |
| **IX.** საინვესტიციო საქმიანობა …………………………………………….. | **26** |
| **X.** საქმიანობა შესყიდვების დარგში………………………………………….. | **26** |
| **XI.** საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა………………………………………………………... | **27** |
| **XII.** საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულად ნაკადებთან დაკავშირებული რისკების მიმოხილვა………… | **30** |

| | |
|---|---|
| **XIII.** შიდა კონტროლის და ფინანსური ანგარიშგების შედეგნის პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვის სისტემის მიმოხილვა… | 32 |
| **XIV.** ანგარიში საზოგადოების აქციებზე გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ………………………. | 33 |
| **XV.** საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა …………………….. | 33 |
| **XVI.** აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა …………………………………… | 34 |
| **XVII.** კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა ……………………………………………………….... | 35 |
| **XVIII.** საზოგადოების გენერალური დირექტორი………………………… | 38 |
| **XIX.** 2019 წ. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის და ოდენობის კრიტერიუმები | 38 |
| **XX.** საზოგადოების შიდა კონტროლის (რისკების მართვის) სისტემის დახასიათება ..................………………………………………………. | 39 |
| **XXI.** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა…………………… | 41 |
| **XXII.** გარემოს დაცვა ......................……………………………………………. | 45 |
| **XXIII.** ცნობები საანგარიშო წელს საზოგადოების მიერ დადებული მსხვილი გარიგებების შესახებ…………………………………………………. | 45 |
| **XXIV.** ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის შესახებ ……………………………………………….. | 45 |
| **XXV.** ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ ...........................................................................……………… | 46 |
| **XXVI.** დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის ....……………………. | 47 |
| **XXVII.** დანართი №1 2019 წ. კონსოლიდირებული / არაკონსოლიდირებული ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგება …. | |
| **XXVIII.** დანართი №2 ანგარიში 2019 წ. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ ……………………………….. | 48 |
| **XXIX.** დანართი №3 ინფორმაცია 2019წ. სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების რეალიზაციის შესახებ …………………………………….…... | 69 |
| **XXX.** დანართი №4. ანგარიში საანგარიშო წელს საზოგადოების მიერ დადებული გარიგებების შესახებ, რომელთა შესრულებაში არსებობს დაინტერესება ……………………………………………………………. | 70 |

# I. ძირითადი მოვლენები

| | |
|---|---|
| **11 იანვარი** | სს „თელასის“ მხარდაჭერით ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდის „ლაზარეს“ „სახელოსნო სკოლის“ მოსწავლეთა ნაკეთობების ორდღიანი გამოფენა-გაყიდვა. |
| | |
| **აპრილი - მაისი** | სს „თელასმა“ საკუთარი ინიციატივით განახორციელა საპილოტო პროექტი „მისტიური მომხმარებელი“, რომელიც დაინერგა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ, მომხმარებელთა მომსახურების სფეროში არსებული ნაკლოვანებების დეტალური შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით. |
| | |
| **19 ივლისი** | საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ურთიერთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის ფარგლებში, სს „თელასმა“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტს სტუდენტთა სწავლებისთვის გადასცა მასალები, ხელსაწყოები და მოწყობილობები. |
| | |
| **10 ოქტომბერი** | სს „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერით, თბილისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მიერ. |
| | |
| **29 ოქტომბერი** | თბილისის ელექტრომომარაგების ხარისხის და საიმედოობის გაუმჯობესების მიზნით სს |

| | |
|---|---|
| | „თელასმა“ განახორციელა 35-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების „საბურთალო-1“ და „საბურთალო-2“ შეცვლა საკაბელო ხაზებით. |
| | |
| **17 დეკემბერი** | ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების მხარდაჭერის ფონდმა (RSF), ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ფინანსური ინტეგრაციის და ანგარიშგების ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, ჩაატარა პრემიის „საუკეთესო წლიური ანგარიში და გამჭვირვალობა“ გადაცემის საზეიმო ცერემონია, სადაც სს „თელასი“ დასახელდა გამარჯვებულად კატეგორიაში „მსხვილი არაფინანსური დაწესებულებები“. |
| | |
| **23 დეკემბერი** | თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ელექტრომომარაგების ხარისხის და საიმედოობის გაუმჯობესების მიზნით სს „თელასმა“ ექსპლუატაციაში შეიყვანა ელექტროგადაცემის ახალი 35-კილოვოლტიანი საკაბელო ხაზი. |
| | |

## II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო აქციონერებო,

წარმოგიდგენთ სს „თელასის“ 2019 წლის წლიურ ანგარიშს, რომელშიც ასახულია კომპანიის საქმიანობის ყველა ძირითადი შედეგი და მიმართულება.

სს „თელასის“ მუშაობის შედეგების შეჯამებისას, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ, ფინანსური თვალსაზრისით ძალიან რთული წლის მიუხედავად, კომპანიამ გაგანგრძო მდგრადი განვითარება, უზრუნველყო ქალაქ თბილისის ელექტროქსელის სტაბილური ფუნქციონირება და მომხმარებელთა საიმედო ელექტრომომარაგება. ასევე სს „თელასის“ მენეჯმენტმა შეძლო რამდენიმე მსხვილი პროექტის წარმატებული რეალიზაცია, რომელთა მიზანი იყო თბილისის ელექტრომომარაგების ხარისხის და საიმედოობის გაუმჯობესება.

საწარმოო და არასაწარმოო სფეროებში კომპანიის მიერ დაბანდებული ინვესტიციების მოცულობამ 2019 წელს შეადგინა 41,3 მლნ. ლარი. ამ თანხიდან ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის პროექტების განხორციელებაზე დახარჯული იქნა 10,2 მლნ. ლარი, ხოლო ახალი აბონენტების მიერთების და ქსელის გაფართოების პროექტების რეალიზაციაზე – 31,1 მლნ. ლარი.

2019 წელს სს „თელასმა“ ჩაატარა ელექტროქსელის ტექნიკური მომსახურების და რემონტის, ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები. კერძოდ, 623 სატრანსფორმატორო ქვესადგურში და ცენტრალურ გამანაწილებელ პუნქტში ჩატარდა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოები; 115 სატრანსფორმატორო ქვესადგურში შეიცვალა მოძველებული მოწყობილობა. ასევე გაყვანილი იქნა ელექტროგადაცემის 32,2 კმ ახალი საჰაერო და 100 კმ-ზე მეტი საკაბელო ხაზი ძაბვით 10/6/0,4 კვ. წლის განმავლობაში ჩატარდა მაღალი ძაბვის ქვესადგურების „დიღომი-1“ და „საბურთალო-3“, ასევე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების „საბურთალო 1-2-3-4“ და „მახათა“ რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად 2019 წელს 2018 წელთან შედარებით ტექნიკური ინციდენტების რიცხვი სს „თელასის“ ელექტროქსელში 110/35/10/6 კვ ძაბვის კლასში შემცირდა 9,2%.

რაც შეეხება მსხვილ პროექტებს, რომლებიც მიმართული იყო თბილისის ელექტომომარაგების ხარისხის და საიმედოობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის განსაკუთრებით უნდა იქნას გამოყოფილი ორი პროექტი. კერძოდ, მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდა 35-კილოვოლტიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების „საბურთალო-1“ და „საბურთალო-3“ შეცვლა საკაბელო ხაზებით. პროექტის ფარგლებში ქვესადგურიდან „საბურთალო-1“ რამდენიმე ქუჩის გასწვრივ გაყვანილი იქნა ახალი საკაბელო ტრასა, განხორციელდა არსებული საჰაერო ხაზების და 15 საყრდენი ანძის დემონტაჟი. საკაბელო ხაზების სიგრძე შეადგენს 2,9 კმ. ამ პროექტის განხორციელებამ ქუჩების სავალო ნაწილის გაფრთოების, ქალაქის იერსახის გაუმჯობესების შესაძლებლობა მოგვცა და უზრუნველყო დედაქალაქის საბურთალოს რაიონის დაახლოებით 25 ათასი აბონენტის უფრო ხარისხიანი და საიმედო ელექტრომომარაგება.

ასევე რეალიზებული იქნა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლების პროექტი. პროექტის ფარგლებში ქს „ნავთლუღი-220“-დან ქს „აეროპორტამდე“ კომპანიამ ააშენა და ექსპლუტაციაში გაუშვა ახალი ელექტროგადამცემი 35-კილოვოლტიანი საკაბელო ხაზი, რომლის სიგრძეა 8,3 კმ. ქვესადგურში „აეროპორტი“ განხორციელდა დენის და ძაბვის ტრანსფორმატორების და თანამედროვე ტიპის ახალი ვაკუუმური ამომრთველების და გამთიშველების მონტაჟი.

2019 წელს შენარჩუნებული იქნა მომხმარებელთა რიცხვის ზრდის ტენდენცია. 2018 წელთან შედარებით კომპანიის აბონენტების რიცხვი გაიზარდა 25 ათასით და შეადგინა 650 ათასზე მეტი აბონენტი. მომხმარებელთა მომსახურება ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

თავისი აბონენტების საიმედო და უწყვეტი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად, 2019 წელს სს „თელასმა“ შეისყიდა 2 902,6 მლნ კვტ*სთ ელექტროენერგია. აღნიშნულ პერიოდში მომხმარებლებზე დარიცხული ელექტროენერგიის მოცულობამ შეადგინა 2 746,9 მლნ კვტ*სთ.

სს „თელასის“ საქმიანობა ყოველთვის იყო და იქნება მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე აქციონერებისთვის, ინვესტორებისთვის, ბიზნეს პარტნიორებისთვის და საზოგადოებისთვის. ამის საუკეთესო დადასტურება იყო ჯილდო, რომელიც 2019 წელს კომპანიამ მიიღო პრესტიჟულ კონკურსზე. სს „თელასს“ გადაეცა „ჯილდო საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობისთვის“ ნომინაციაში „მსხვილი არაფინანსური ორგანიზაციები“, რომლებიც დაშვებულნი არიან საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში. აღნიშნული ჯილდო გადაეცემა კომპანიებს, რომლებიც წარადგენენ ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პროექტი, რომლის მიზანია საქართველოში ფინანსური და მმართველობითი (არაფინანსური) ანგარიშგების გაუმჯობესების გზით კაპიტალის ბაზრის განვითარება, საქართველოში განხორციელდა პირველად.

სს „თელასი“ სოციალურად ორიენტირებული კომპანიაა, რომლის ძირითად ფასეულობას მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. კომპანია თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს სოციალური პროგრამების ფართო ჩამონათვალს, როგორც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულს, ასევე დამატებითს. სს „თელასის“ სოციალური პოლიტიკა მიმართულია 2 ათასზე მეტი თანამშრომლისთვის ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფაზე. კომპანია თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ახორციელებს ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხო და კომფორტულ პირობებს; პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფას; ვეტერანებისა და პენსიონერებისათვის მატერიალური მხარდაჭერის გაწევას; ჯანმრთელობის დაცვას და ჯანსაღო ცხოვრების წესის მხარდაჭერას.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე აქციონერთა ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

კომპანიის მენეჯმენტის ძირითადი პრიორიტეტი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და რჩება ქალაქ თბილისის ელექტროქსელური მეურნეობის მდგრადი განვითარების სფეროში მაღალი მაჩვენებლების მიღწევა. კომპანია მთელ ძალისხმევას გამოიყენებს ელექტროქსელური ობიექტების ფუნქციონირების ეფექტურობის და საიმედოობის ასამაღლებლად დასახული გეგმების რეალიზაციის და აბონენტების ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

კერძოდ, 2020 წელს კომპანია აპირებს ქვესადგურებში „დიღომი-1“ და „დიღომი-2“ ჩაატაროს ძალოვანი ტრანსფორმატორების კაპიტალური რემონტი, ასევე ეგხ 35 კვ „სოლოლაკი-1“ და „სოლოლაკი-2“ საკაბელო მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გადაძაბვისაგან ელექტრომოწყობილობების დაცვის, ქსელში მიწაზე ერთფაზიანი შერთვისას სარელეო დაცვის სელექტიურობის ამაღლების ღონისძიებებსაც. ეს სამუშაოები ჩატარდება ქვესადგურებში „სოლოლაკი“, „მთაწმინდა“ და „ავშნიანი“.

დარწმუნებულნი ვართ, რომ კომპანიის მენეჯმენტის და პერსონალის პროფესიონალიზმის მაღალი დონე შესაძლებლობას მოგვცემს გავუმკლავდეთ 2020 წლის მასშტაბურ ამოცანებს.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
დიმიტრი ვოლკოვი

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

## III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ

სს „თელასის“ საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:
- საცალო და საბითუმო ბაზრებზე ელექტროენერგიის შეძენა და რეალიზაცია;
- მომხმარებელთა  საიმედო და ხარისხიანი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- საზოგადოების სტაბილური განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა;
- ელექტრომომარაგების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- საზოგადოების ყველა აქციონერის ინტერესების დაცვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო 2019 წელს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით  საზოგადოების განვითარების შედეგებს წარმატებულად აფასებს. სს „თელასმა“ წელიწადი დაასრულა 14 057 ათასი ლარის წმინდა მოგებით.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო მუშაობის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობდა გადაწყვეტილებების შესრულების რეგულარული კონტროლი. 2019 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 16 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა 63 საკითხი.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ყველა თავისი უფლების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესებში, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე მომსახურების გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას.

## IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

სს „თელასი“ არის უმსხვილესი ელექტროქსელური და გასაღების ორგანიზაცია ქ. თბილისში - ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების 23% მოდის კომპანიაზე. სს „თელასი“ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) შეძენას ახორციელებს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ბაზრებზე, ქ. თბილისის და მიმდებარე სოფლების მომხმარებელთა მომსახურების მიზნით. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

– ელექტროენერგიის შესყიდვა და გაყიდვა;
– ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია;
– ელექტროენერგიის ტრანზიტის მომსახურება;
– აბონენტების ტექნიკური მომსახურება;
– ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება.

2019 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციებს სს „თელასი“ აფასებს, როგორც ზომიერად ოპტიმისტურს, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წელში მომხდარ შემდეგ მოვლენებთან, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა დარგზე:

– ქვეყანაში ელექტროენერგიის საერთო მოხმარების ზრდა;

– ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;

– თურქეთის მიმართულებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა და თურქეთში ელექტროენერგიის ბაზარზე არასტაბილური ფასები;

– ქვეყანაში ენერგეტიკულ სექტორზე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ზეწოლა.

საზოგადოების განვითარების ტენდენცია საერთოდარგობრივი ტენდენციების ფონზე მნიშვნელოვნად უკეთესად გამოიყურება.

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

– დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები;

– ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;

– ინფლაციის მაღალი ტემპი.

საზოგადოების ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. დარგში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სს „თელასმა“ მიიღო შემდეგი ზომები:

- ელექტროენერგეტიკის ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- სერვისული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება, რაც ხელს უწყობს მომხმარებლების მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს სს „თელასს“ შეინარჩუნოს ლიდერობა ელექტროენერგიის გასაღების ბაზარზე და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ნეგატიური ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში, რისკების შემცირების ზომების სახით, სს „თელასის“ მართვის ორგანოები აპირებენ შემდეგი ზომების გამოყენებას:

- თავისი საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;

- ენერგოდამზოგი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის ჩათვლით.

დარგში საზოგადოების მდგომარეობაზე ზემოქმედებას ახდენს ასევე კონკურენტული გარემოს განვითარება. ქ. თბილისის ტერიტორიაზე სს „თელასის“ ძირითადი კონკურენტია - ქართულ-ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ („Energo-Pro“-ს, ჩეხეთი, შვილობილი კომპანია).

გასაღების (პროდუქციის, მომსახურების) ბაზარზე სს „თელასის“ კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების სახით შეიძლება გამოყოფილი იქნას შემდეგი:

- მომხმარებელთა მომსახურების ხელმისაწვდომობის მაღალი ტერიტორიული, ორგანიზაციული და ინფორმაციული დონე;
- ელექტროენერგიის ბაზარზე კომპანიის იმიჯი და ავტორიტეტი;
- ელექტრული ენერგიის მოხმარების აღრიცხვის მაღალორგანიზებული და გამჭვირვალე სტრუქტურა.

საზოგადოებას, მომავალში თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, დაგეგმილი აქვს შემდეგი მოქმედებები:

- მსხვილ საწარმოებთან მუშაობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთმოქმედების ფორმების სრულყოფა;
- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის სრულყოფა;
- ენერგო-სერვისული მომსახურების გაფართოება.

## V. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2019 წელს სს „თელასის“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახის ენერგეტიკული რესურსები:

| №№ | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ღირებულება (ათასი ლარი) |
|---|---|---|---|---|
| **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
| 1 | ხარჯები ნაყიდ ელექტროენერგიაზე | ათასი კვტ*სთ | 2 902 585 | 361 932 |
| 1.1 | ნაყიდი ელექტროენერგია | ათასი კვტ*სთ | 2 902 585 | 290 853 |
| 1.2 | გადაცემა და დისპეტჩერიზაცია | | | 71 079 |
| 2 | ელექტროენერგიის რეალიზაცია და ტრანზიტი, სულ – | ათასი კვტ*სთ | 2 952 214 | 453 083 |
| | მათ შორის: | | | |
| 2.1 | - გაყიდვა | ათასი კვტ*სთ | 2 746 892 | 447 188 |
| 2.2 | - ტრანზიტი | ათასი კვტ*სთ | 205 322 | 5 895 |
| **3** | **სულ ბენზინი და სატრანსფორმატორო ზეთი;** | ათასი ლიტრი | **578.97** | **1 090.47** |
| | | კგ | **124.44** | **35.83** |
| **3.1** | **საავტომობილო ბენზინი** | ათასი ლიტრი | **255.85** | **467.39** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3.1.1** | ბენზინი „პრემიუმ-ავანგარდი“ (100006264) | **ათასი ლიტრი** | 255.85 | 467.39 |
| **3.2** | **დიზელის საწვავი „ევრო“ (100006265)** | ათასი ლიტრი | **323.12** | **623.09** |
| **3.3** | **სატრანსფორმატორო ზეთი ВГ (100003063)** | კგ | **11.67** | **4.70** |
| **3.4** | **სატრანსფორმატორო ზეთი (100005461)** | კგ | **84.23** | **2.64** |
| **3.5** | **სატრანსფორმატორო ზეთი ЛУКОЙЛ ВГ(კგ) (100010421)** | კგ | **28.55** | **28.49** |

## VI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა.

### 6.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

ათასი ლარი

| ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები | 2018 წელი | 2019 წელი | ცვლილების % |
|---|---|---|---|
| | | | |
| ამონაგები | 461 969 | 453 084 | (2) |
| სხვა ხარჯები | 17 931 | 29 733 | 66 |
| შესყიდული ელექტროენერგია | (351 065) | (361 931) | 3 |
| შრომის ანაზღაურება და მუშაკების სხვა ანაზღაურება | (57 711) | (58 327) | 1 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (13 284) | (14 256) | 7 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | (4 042) | (5 636) | 39 |
| ფორმირებული რეზერვები, ნეტო | (376) | (1 250) | 233 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (19 071) | (20 255) | 6 |
| **საოპერაციო მოგება** | **34 351** | **21 162** | **(38)** |
| ფინანსური შემოსავლები | 676 | 440 | (35) |
| ფინანსური ხარჯები | (6 876) | (7 623) | 11 |
| (ზარალი)/შემოსავალი კურსის სხვაობის შედეგად, ნეტო | (523) | 78 | (115) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | **27 628** | **14 057** | **(49)** |
| ხარჯები მოგების გადასახადის მიხედვით | - | - | - |
| **მოგება წლის განმავლობაში** | **27 628** | **14 057** | **(49)** |
| სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მოგებისა და | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ზარალის შემადგენლობაში შემდგომ პერიოდებში | | | |
| აქტუარული (ზარალი)/შემოსავლები დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამიდან | (374) | 229 | (161) |
| მოგების გადასახადის ზეგავლენა | - | - | - |
| **სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში, დაბეგვრის გამოკლებით** | **(374)** | **229** | **(161)** |
| **სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში** | **27 254** | **14 286** | **(48)** |
| საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე | 0.00024 | 0.00013 | (46) |

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობაა ელექტროენერგიის შესყიდვა და ქ. თბილისში (საქართველო) კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე განაწილება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ამონაგებმა ელექტროენერგიის რეალიზაციიდან და ქსელური მომსახურებიდან 2019 წელს შეადგინა 453 084 ათასი ლარი, რაც 8 885 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წელთან შედარებით.

ძირითადად, 2019 წელს გაყიდვების მოცულობის შემცირების შედეგად, ამონაგები შეიცვალა შემდეგნაირად:

1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერგიის გაყიდვებიდან შემცირდა 2 122 ათასი ლარი;

2. კომერციულ ორგანიზაციებზე და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერგიის გაყიდვებიდან შემცირდა 7 573 ათასი ლარით უმსხვილესი მომხმარებლის შპს „ბიეფდისი ჯორჯიას“ წასვლის გამო, რომელიც 2018 წლის 1 მაისიდან გახდა პირდაპირი მომხმარებელი - ენერგობაზრის ვაჭრობის მონაწილე იმ ცვლილებების თანახმად, რომლებიც შეტანილი იქნა საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და 2006 წლის 30 აგვისტოს №77 დადგენილებაში „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“;

3. სახელმწიფო სექტორზე ელექტროენერგიის გაყიდვებიდან გაიზარდა 628 ათასი ლარით;

4. ელექტროენერგიის ტრანზიტიდან გაიზარდა 184 ათასი ლარი.

ელექტროენერგიის შესყიდვისა და განაწილების გარდა, საზოგადოება უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ტრანზიტის მომსახურებას. ელექტროენერგიის ტრანზიტის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს შემოსავლებს, რომელსაც კომპანია იღებს ელექტროენერგიის ტრანზიტისთვის, რომელსაც მომხმარებლები ყიდულობენ უშუალოდ მიმწოდებლებთან კომპანიის ქსელის საშუალებით. 2018 წლის 1 იანვრიდან სემეკ-ის 2017 წლის 27 დეკემბრის № 48 დადგენილების თანახმად, გაიზარდა ტარიფები ტრანზიტზე და შეადგინა 0.02058-დან 0.06472 ლარი/მვტ*სთ-მდე. ტარიფები ძალაში იქნება 2018-2020 წწ. პერიოდში.

მოგებამ 2019 წელს შეადგინა 14 057 ათასი ლარი 2019 წლის გეგმიურ მოგებასთან შედარებით 24 671 ათასი ლარის ოდენობით.

## საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

ათასი ლარი

| მაჩვენებლები | 2018 წელი | 2019 წელი | ცვლილების % |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **არასაბრუნავი აქტივები** | **265 407** | **291 423** | 10 |
| **საბრუნავი აქტივები** | **75 279** | **71 548** | (5) |
| **სულ აქტივები** | **340 686** | **362 971** | 7 |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **კაპიტალი** | **180 637** | **194 922** | 8 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| პროცენტიანი კრედიტები, სესხები და თამასუქები | 34 915 | 21 150 | (39) |
| სასამართლო სარჩელების რეზერვები | 1 012 | 524 | (48) |
| ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას | 2 094 | 2 077 | (1) |
| სახელმწიფო სუბსიდიები | 519 | 377 | (27) |
| საიჯარო ვალდებულებები | 1 711 | 1 442 | (16) |
| სხვა ვალდებულებები | 870 | 865 | (1) |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | **41 121** | **26 435** | (36) |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| პროცენტიანი კრედიტები, სესხები და თამასუქები | 15 414 | 29 138 | 89 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 69 389 | 79 300 | 14 |
| მიღებული ავანსები | 6 926 | 5 687 | (18) |
| საკონტრაქტო ვალდებულებები | 8 230 | 9 243 | 12 |
| სახელმწიფო სუბსიდიები | 480 | 169 | (65) |
| ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას | 95 | 112 | 18 |
| წმინდა საგადასახადო ვალდებულებები | 15 602 | 14 768 | (5) |
| სასამართლო სარჩელების რეზერვები | 2 000 | 2 266 | 13 |
| საიჯარო ვალდებულებები | 627 | 763 | 22 |
| სხვა ვალდებულებები | 101 | 105 | 4 |
| გადასახდელი დივიდენდები | 64 | 63 | (1) |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | **118 928** | **141 614** | 19 |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | **340 686** | **362 971** | 7 |

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 26 016 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად.

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 3 731 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ ძალაში შევიდა იმ წლიური პერიოდების მიმართ, რომლებიც დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. რადგან დაშვებული იყო სტანდარტის ვადამდელი გამოყენება ფასს (IFRS) 15 „ამონაგები მყიდველებთან ხელშეკრულებების

მიხედვით“ გამოყენების შემთხვევაში, საზოგადოებამ ვადაზე ადრე გამოიყენა აღნიშნული სტანდარტი 2018 წლის 1 იანვრიდან, სრული რეტროსპერექტიული მიდგომის მეშვეობით.

## საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2019 წლის ბოლოს სს „თელასის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 362 971 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 22 286 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2019 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 26 016 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 291 423 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები შემცირდა 3 731 ათასი ლარით და შეადგინა 71 548 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად.

***საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები***

| მაჩვენებელი | 31.12.2018 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.07 | 0.04 |
| სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.56 | 0.45 |
| მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.63 | 0.51 |

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2019 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 0,07-დან 0,04-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა, რაც განპირობებული იყო მოკლევადიანი ვალდებულებების (დავალიანება ე/ე შესყიდვაზე) ზრდით და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 0,45. ამ მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეულია მოკლევადიანი ვალდებულებების (დავალიანება ე/ე შესყიდვაზე) ზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,63-დან 0,51-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით და მოკლევადიანი ვალდებულებების (დავალიანება ე/ე შესყიდვაზე) ზრდით.

***საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები***

| Показатель | 31.12.2018 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| **მაჩვენებელი** | 8.3% | 4.7% |
| გაყიდვების რენტაბელობა | 15.3% | 7.2% |
| საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) | 8.1% | 3.9% |

*მაჩვენებლის „ერთიანი აქტივების რენტაბელობა“ გამოსაანგარიშებლად გამოყენებულია მაჩვენებლის „სულ აქტივები“ მნიშვნელობა, შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მაჩვენებლების შემცირებასთან. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის და ერთიანი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მოგების შემცირებასთან. 2019 წელს მოგებამ შეადგინა 14 057 ათასი ლარი 2018 წელს 27 628 ათას ლართან შედარებით. წლის განმავლობაში მოგების შემცირება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1) ამონაგების შემცირება სასარგებლო გაშვების შემცირების შედეგად, უმსხვილესი მომხმარებლის შპს „ბიეფდისი ჯორჯიას“ წასვლის შედეგად, რომელიც 2018 წლის 1 მაისიდან გახდა პირდაპირი მომხმარებელი;

2) ელექტროენერგიის შესყიდვაზე დანახარჯების ზრდა ე/ე შესყიდვის საშუალო ტარიფის ზრდის შედეგად, რომელმაც სემეკ-ის მიერ დამტკიცებული 11.595 თეთრი/კვტსთ ნაცვლად შეადგინა 12,027 თეთრი/კვტსთ.

***საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები***

| მაჩვენებელი | 31.12.2018 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი | 0.53 | 0.54 |
| სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობა | 0.88 | 0.86 |

2019 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა 0,54.

საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა 0,86 (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 0.86 ლარი), კაპიტალის ზრდის შედეგად.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების აუდიტორის EY Georgia LLC მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა საზოგადოების 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2013 წლის 31 მარტს ხელი მოეწერა მემორანდუმს „ელექტროენერგეტიკის და ადრე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და სსს „ინტერ რაო“-ს შორის. მემორანდუმის თანახმად საზოგადოება ვალდებულია საქართველოს მთავრობას ყოველწლიურად წარუდგინოს საზოგადოების „დიდი ოთხეულის წევრი“ საერთაშორისო აუდიტორის მიერ გაანგარიშებული და დადასტურებული საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლები. მემორანდუმის აღნიშნული მოთხოვნის რეალიზაციისათვის, საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ „Deloitte & Touche“ განახორციელა საზოგადოების ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშება, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ანგარიში აუდირებულია სხვა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ „EY Georgia LLC“. საჭირო მთლიანი შემოსავლის (სმშ) დეფიციტის საბოლოო მაჩვენებელმა შეადგინა 6 201 ათასი ლარი, მიზნობრივი საინვესტიციო დანამატის (მსდ) საბოლოო მაჩვენებლით 1 182 ათასი ლარის ოდენობით, მემორანდუმის თანახმად.

მემორანდუმის მე-2.1.10 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობების გაანგარიშების შედეგად 2017-დან 2025 წ-მდე პერიოდში ხორციელდება მსდ-ს განაწილება

საზოგადოებას და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის, მენორანდუმის მე-2.6.8 პუნქტით დადგენილი ამოღების გათვალისწინებით.

საზოგადოების მენეჯმენტის შეფასებით 2019 წლის მსდ განაწილებას არ ექვემდებარება.

## საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები

საზოგადოების 2019 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირად:

| საწარმოო მაჩვენებლები | 2018 წელი | 2019 წელი | ცვლილების % |
|---|---|---|---|
| | | | |
| **ნაყიდი ელექტროენერგია, მლნ კვტ*სთ** | **2 989** | **2 903** | **(3)** |
| - დანაკარგები გადაცემისას, მლნ კვტ*სთ | (19) | - | - |
| **ქსელში მიღება (გაშვება), მლნ კვტ*სთ** | **2 970** | **2 903** | **(2)** |
| - ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ კვტ*სთ | (151) | (156) | 3 |
| **ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება, მლნ კვტ*სთ** | **2 819** | **2 747** | **(3)** |

2019 წელს ელექტროენერგიის გაყიდვებიდან მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 447 188 ათასი ლარი, რაც 10 560 ათასი ლარით ნაკლებია, საზოგადოების 2019წ. ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით.

## ელექტროენერგიის გაყიდვების მოცულობის საერთო სტრუქტურა

**(ათასი ლარი)**

| №№ | დასახელება | 2018 წელი | 2019 წელი | | გადახრა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | გეგმა | ფაქტი | (+/-) | % |
| **1** | **2** | **3** | **4** | **5** | **6** | **7** |
| 1 | რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე | 158 370 | 172 102 | 156 139 | (15 962) | (9) |
| 2 | რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე | 24 504 | 26 518 | 25 132 | (1 386) | (5) |
| 3 | რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე | 265 657 | 251 072 | 258 083 | 7 011 | 3 |
| 4 | სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე | 7 726 | 8 056 | 7 833 | (222) | (3) |
| | სულ გაყიდვები | **456 257** | **457 748** | **447 188** | **(10 560)** | **(2)** |

2019 წელს გაყიდვების შემცირება 10 560 ლარით განპირობებულია სასარგებლო გაშვების შემცირებით უმსხვილესი მომხმარებლის შპს „ბიეფდისი ჯორჯიას“ წასვლით, რომელიც 2018 წლის 1 მაისიდან გახდა პირდაპირი მომხმარებელი.

გარდა ამისა, შემოსავლები „სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე“ ნაწილში შემცირდა 222 ათასი ლარით, რაც განპირობებულია გაყიდვების შემცირებით.

2019 წელს მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის საერთო სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 2 747 მლნ კვტ*სთ.

## ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2018 – 2019 წწ.

(მლნ კვტ*სთ)

| №№ | დასახელება | 2018 წელი | 2019 წელი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | გეგმა | ფაქტი | გადახრა (+/-) | გადახრა % |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე | 952.32 | 1 022.59 | 945.89 | (76.70) | (7.5) |
| 2 | რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე | 151.67 | 162.60 | 155.27 | (7.33) | (4.5) |
| 3 | რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე | 1 669.23 | 1 550.24 | 1 599.08 | 48.84 | 3.2 |
| 4 | სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე | 45.73 | 47.68 | 46.65 | (1.4) | (2.2) |
| | **სულ, გაყიდვები შიდა ბაზარზე** | **2 818.94** | **2 783.11** | **2 746.89** | **(36.22)** | **(1.3)** |
| 5 | ელექტროენერგიის რეალიზაცია ექსპორტზე | - | - | - | - | - |
| | **სულ, გაყიდვები** | **2 818.94** | **2 783.11** | **2 746.89** | **(36.22)** | **(1.3)** |

*ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2019 წ.*



## 6.2. ელექტრული ქსელების დახასიათება

| №№ | დასახელება | განზომილების ერთეული | მაჩვენებლები |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| **1** | **ეგხ-ს საერთო სიგრძე, სულ** | **კმ** | **5886.92** |
| | მათ შორის: | | |
| **1.1** | **საჰაერო ეგხ (ჯაჭვების მიხედვით), სულ** | **კმ** | **2316.1** |
| | მათ შორის: | | |
| 1.1.1 | - ძაბვის დონე 110 კვ | კმ | 249.6 |
| 1.1.2 | - ძაბვის დონე 35 კვ | კმ | 88.8 |
| 1.1.3 | - ძაბვის დონე 10 კვ | კმ | 112.9 |
| 1.1.4 | - ძაბვის დონე 6 კვ | კმ | 196.8 |
| 1.1.5 | - ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები | კმ | 1668 |
| **1.2** | **საკაბელო ეგხ, სულ** | **კმ** | **3570.82** |
| | მათგან: | | |
| 1.2.1 | - ძაბვის დონე 35 კვ | კმ | 101.46 |
| 1.2.2 | - ძაბვის დონე 10 კვ | კმ | 331.28 |
| 1.2.3 | - ძაბვის დონე 6 კვ | კმ | 1382.68 |
| 1.2.4 | - ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები | კმ | 1755.4 |
| **2** | **მადაბლებელი ქვესადგურები 35 კვ და მეტი** | | |
| 2.1 | ქვესადგურების რაოდენობა, სულ | ცალი | 36 |
| | მათ შორის: | | |
| 2.1.1 | მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ | ცალი | 13 |
| 2.1.2 | მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ | ცალი | 23 |
| 2.2 | საერთო დადგმული სიმძლავრე | მვა | 1698.6 |
| | მათ შორის: | | |
| 2.2.1 | მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ | მვა | 405.6 |
| 2.2.2 | მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ | მვა | 1293 |
| **3** | **სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ** | | |
| 3.1 | საერთო დადგმული სიმძლავრე | მვა | **1457.21** |
| 3.2 | ქვესადგურების რაოდენობა | ცალი | **2061** |
| | მათ შორის: | | |
| 3.2.1 | გქ | ცალი | 14 |
| 3.2.2 | გსქ | ცალი | 175 |
| 3.2.3 | დსქ | ცალი | 1408 |
| 3.2.4 | კსქ | ცალი | 456 |
| 3.2.5 | ასქ | ცალი | 8 |

## 6.3. ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები

2019 წელს სს „თელასის“ 110/35/10/6 კვ ძაბვის კლასის ელექტრული ქსელების მუშაობისას სულ მოხდა 1764 ტექნოლოგიური ინციდენტი, რაც 9% ნაკლებია 2018

წელთან შედარებით (1944 შემთხვევა). 2019 წ. ელექტროენერგიის არასაკმარისმა გაშვებამ შადგინა 806,365 ათასი კვტ.*სთ, რაც გასულ წელთან შედარებით 8,1% ნაკლებია. ეკონომიკურმა ზარალმა ელექტროენერგიის არასაკმარისი გაშვების შედეგად 2019 წ. შეადგინა 8,1% ნაკლები, ვიდრე 2018 წელს, არასაკმარისი გაშვების გამო ზარალის ზრდა განპირობებულია ქსელში წყვეტების ზრდით.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ცნობები ინციდენტების, ავარიების და ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ სს „თელასის“ ელექტრულ ქსელებში 2018 – 2019 წწ.

| №№ | მაჩვენებლის დასახელება | 2018 წელი | 2019 წელი | გადახრა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | (+/-) | % |
| 1 | ინციდენტები | 1944 | 1764 | (-180) | (-9)% |
| 2 | ავარიები | - | - | - | - |
| 3 | ელექტროენერგიის არასაკმარისი გაშვება (ათასი კვტ*სთ) | 745,88 | 806, 365 | +60,485 | +8,1% |
| 4 | ეკონომიკური ზარალი ელექტროენერგიის არასაკმარისი გაშვების შედეგად (ათასი ლარი) | 34,9 | 37,74 | (+2,84) | (+8,1) % |

## 6.4. შრომის დაცვის, საწარმოო, სახანძრო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მართვის სისტემის რეზულტატიურობა

2019 წლის განმავლობაში საზოგადოების შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი ელექტრული ელექტრული ქსელების ყველა კლასის ობიექტზე, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას. ელექტროქსელური ობიექტების შემოწმებების შეჯერებული მონაცემები მოყვანილია ცხრილში:

| №№ | ცნობები შემოწმებების შესახებ | 2018 წელი | 2019 წელი |
|---|---|---|---|
| 1 | ობიექტების შემოწმების საერთო რიცხვი | 3731 | 4439 |
| 2 | მიწერილობების რაოდენობა | 1445 | 1437 |
| 3 | ღონისძიებების რაოდენობა მიწერილობებში | 4157 | 4123 |
| | მათ შორის: | | |
| 3.1 | შესრულებული | 4150 | 3948 |
| 3.2 | ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილია | 7 | 175 |

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საზოგადოების ქვედანაყოფებში ხორციელდებოდა საყოველთაო შემოწმებები პერსონალის მიერ შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის ნაწილში. შემოწმების შედეგების მიხედვით ტარდებოდა ანალიზი,

ვლინდებოდა ტრავმასაშიში სიტუაციები და ფაქტორები, მუშავდებოდა ღონისძიებები მათ აღსაკვეთად.

## 6.5. 2019 წ. სს „თელასის“ ელექტრულ ქსელთან ტექნოლოგიური მიერთებები

ახალი აბონენტების მიერთების პროექტები საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. პროექტები გულისხმობს ახალი აბონენტებისთვის ქსელის მოწყობას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 18.09.2018 წლის №20 დადგენილების თანახმად. სამუშაოების მოცულობები, მასალების რაოდენობა ახალი მიერთებების პროექტების მიხედვით მთლიანად არის დამოკიდებული მომხმარებლებისგან შემოსულ მოთხოვნებში მითითებულ მოთხოვნილ სიმძლავრეებზე. სემეკ-ის 18.09.2018 წლის №20 დადგენილების საფუძველზე მიერთებაზე განაცხადების შესრულება უნდა განხორციელდეს შეზღუდულ ვადაში (20-დან 90 დღემდე, სიმძლავრიდან გამომდინარე). მიერთებაზე განაცხადის შესრულების ვადების თითოეული დარღვევა იწვევს ჯარიმებს (პაკეტის ღირებულების 50%), რომლებიც შეიძლება აღემატებოდეს მიერთების ღირებულებას.

2019 წლის განმავლობაში ახალი მომხმარებლებისგან, მომხმარებლებისგან, რომლებმაც მოითხოვეს სიმძლავრის გაზრდა, და არსებული მომხმარებლებისგან შემოვიდა სულ 7636 განცხადება მიერთებაზე, ჯამური სიმძლავრით 280.5 ათ. კვტ, განხორციელდა მომხმარებლების 7695 ტექნოლოგიური მიერთება ელ. ქსელზე საერთო ჯამური სიმძლავრით 280.8 ათ. კვტ. აქედან, 7640 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 214.8 ათ. კვტ, 0,4 კვ ძაბვაზე (მიერთებების საერთო სიმძლავრის 76%), 55 მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 66 ათასი კვტ, 6/10 კვ ძაბვაზე (მიერთებების საერთო სიმძლავრის 24%).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სრული მიერთებების რაოდენობა (ახალი მომხმარებლების განაცხადები და განაცხადები სიმძლავრის გაზრდაზე) და მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე:

| № | მიერთების ძაბვა | სრული მიერთებების რ-ბა ხელშეკრულებების და ტპ-ების შესაბამისად, ცალი | | მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2018 წელი** | **2019 წელი** | **2018 წელი** | **2019 წელი** |
| 1 | 35/110 კვ | - | - | - | - |
| 2 | 6 -10 კვ | 44 | 55 | 79.7 | 66 |
| 3 | 0,4 კვ | 6696 | 7640 | 168.2 | 214.8 |
| | სულ | **6740** | **7695** | **247.9** | **280.8** |

2019 წლის განმავლობაში ახალი მომხმარებლების მიერთების, მომხმარებლების სიმძლავრის გაზრდის შედეგად და არსებული მომხმარებლებისგან ფაქტობრივად მიღებულმა

თანხამ, დღგ-ს ჩათვლით, შეადგინა სულ 20 051 ათ. ლარი გეგმასთან 17 991 ლარის ოდენობით შედარებით. ჯარიმებმა ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებების შესრულებაზე სემეკ-ის დადგენილებით განსაზღვრული ვადების დარღვევისთვის შეადგინა 69 ათასი ლარი. სულ ექსპლუატაციაში გაშვებამ ახალი მიერთებების შესაბამისად 2019 წელს შეადგინა 22 994 ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე, გეგმასთან შედარებით 23 192 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე.

*2018 – 2019 წწ. ტექნოლოგიური მიერთებების დიაგრამა*
*მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ*




*სრული მიერთებების რაოდენობა ხელშეკრულებების და ტპ-ის მიხედვით, ც.*



## 6.6. საქმიანობა რემონტების დარგში

სს „თელასის“ ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, აგრეთვე მოწვეული კონტრაგენტების მიერ.

2019 წელს რემონტზე ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 2 684.11 ათასი ლარი, რაც დაგეგმილ ხარჯებზე 985.06 ათასი ლარით ნაკლებია.

მათ შორის ელექტრული ქსელების რემონტზე ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 2 578.96 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 723.24 ათასი ლარით ნაკლებია, ხოლო არასაწარმოო სფეროს რემონტების ხარჯებმა შეადგინა ფაქტის შესაბამისად 105.18 ათასი ლარი, გეგმიურ 367.00 ათას ლართან შედარებით.

*რემონტების სტრუქტურა 2019 წელს*




## 6.7. ელექტროენერგიის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში

2019 წელს საზოგადოების მიერ შესყიდული იყო 2 903 მლნ კვტ*სთ ელექტროენერგია. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 903 მლნ კვტ*სთ. მომხმარებლისათვის სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 2 747 მლნ კვტ*სთ. სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერგიის ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 156 მლნ კვტ*სთ.

*ქსელებში ელექტროენერგიის შესყიდვის, განაწილების და დანაკარგების დიაგრამა*



# VII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საზოგადოების ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- სისტემის დანერგვა საზოგადოების მომხმარებლების საგადახდო დისციპლინის ასამაღლებლად.
- <u>შეთანხმება ევროკავშირთან:</u>

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება №3259 „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის ფარგლებში შედგენილი იქნა კონკურენტულ (საბითუმო) ბაზარზე გადასვლის გეგმა, რომელიც შეიცავდა ლიბერალიზაციის კონკრეტულ ეტაპებს. გეგმის შესაბამისად გათვალისწინებული იყო მომხმარებლის ეტაპობრივი დაშვება კონკურენტულ ბაზარზე.

2014 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ასოცირების შესახებ, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ.

ევროკავშირთან შეთანხმება ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის 28 ქვეყანამ ეროვნულ დონეზე მოახდინა ზემოაღნიშნული შეთანხმების რატიფიკაცია (01.07.2016). 2016 წლის 18 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა ოქმს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ.

2019 წლის 27 დეკემბერს ძალაში შევიდა 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონი №546-რს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“.

აღნიშნული კანონის თანახმად საქართველოს მთავრობამ, კანონის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში, უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცება.

თავის მხრივ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ, ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცებიდან 4 თვის განმავლობაში, კანონის და აღნიშნული კონცეფციის მოთხოვნების გათვალისწინებით, უნდა დაამტკიცოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- ელექტროენერგიის ბაზრის წესები;

- ელექტროენერგიის მიწოდების წესები (მათ შორის, უნივერსალური მომსახურების და ბოლო ალტერნატივის მიწოდება);

- ქსელის წესებში ცვლილებები და დამატებები.

ბაზრის წესების დამტკიცების შემდეგ 2 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის თითოეულმა ლიცენზიატმა (მათ შორის, სს „თელასმაც“) უნდა მოამზადოს და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას წარუდგინოს გაყოფის გეგმა, დეტალური ღონისძიებების და მათი განხორციელების ვადების ჩათვლით.

თავის მხრივ, კომისიამ უნდა დაამტკიცოს გაყოფის გეგმა მთელი საჭირო ინფორმაციის მიღების შემდეგ 2 თვის ვადაში.

ზოგადად, „ენერგეტიკის და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „თელასის“ გაყოფის პროცესი უნდა დასრულდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

## VIII. საზოგადოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა

ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (ეძმ) - ეს არის საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის წარმატების ინდიკატორები, რომლებიც შემუშავებულია საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე და რომლებიც საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის, ასევე საზოგადოების მიზნების რეალიზარაციაში მისი წვლილის, სრული შეფასების საშუალებას იძლევა საანგარიშო პერიოდში.

საკონტროლო მაჩვენებლები (სმ) განსაზღვრავს საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის ძირითად საწარმოო ამოცანებს.

სს „თელასისათვის“ ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები და საკონტროლო მაჩვენებლები 2019 წლისთვის დამტკიცდა სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 14.02.2019წ. გადაწყვეტილებით (ოქმი№216, 14.02.2019წ.) საზოგადოების საქმიანობის მართვის და კონტროლის ფუნქციების სრულყოფის მიზნით.

სს „თელასის“ 20.05.2019წ. №481 ბრძანებით დირექტორებისთვის დამტკიცდა ინდივიდუალური ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ეძმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) რუკები.

სს „თელასის“ მიზნების რუკაში 2019 წელს შედის ისეთი ეძმ-ები, როგორებიცაა:

ეძმ 1. EBITDA 2019 წლის ბიზნეს-გეგმის მნშივნელობიდან.

ეძმ 2. 2019 წლის საინვესტიციო პროგრამის შესრულება.

ეძმ 3. საოპერაციო ფულადი ნაკადი 2019 წლის ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობიდან.

ეძმ 4. ელექტროენერგიის დანაკარგები 2019 წლის ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობიდან.

**საკონტროლო მაჩვენებლები (სმ)**:

სმ 1. ავარიების (წონა 40%) ან უბედური შემთხვევების (წონა 30%) არარსებობა ან ტრავმატიზმის სიხშირის კოეფიციენტის (წონა 30%) შესრულება.

სმ 2. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის მზადყოფნის პასპორტის მიღება (არსებობა).

სმ 3. საანგარიშგებო და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა და კორპორაციული ღონისძიებების გეგმის შესრულება.

სმ 4. სსს „ინტერ რაო“-ს შიდა აუდიტის ბლოკის მიერ გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების შედეგების მიხედვით არსებითი შენიშვნების არარსებობა.

სმ 5. საზოგადოების საკრედიტო ხელშეკრულებების მიხედვით ვალდებულებების დაცვა.

2019 წლის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ეძმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) შესრულების შედეგები, სს „თელასის“ კორპორაციული ღონისძიებების ჩატარების გეგმის შესაბამისად, განხილული იქნება არაუგვიანეს 2020 წლის აპრილში.

## IX. საინვესტიციო საქმიანობა

2019 წელს საზოგადოების მიერ განხორციელდა ინვესტიციები კაპიტალდაბანდების ფორმით შემდეგი მოცულობით:

| № | მუხლების დასახელება | |
|---|---|---|
| 1 | დაფინანსება, ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით | 44 520 |
| 2 | ათვისება, ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე | 41 316 |
| 3 | ძს ექსპლუატაციაში შეყვანა, ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე | 38 377 |
| | | |

ინვესტიციები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

1. ახალი მშენებლობა და გაფართოება 31,144 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე;
2. ტექგადაიარაღება და რეკონსტრუქცია 7,005 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე;
3. საწარმოო დანიშნულების ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა 266 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე;
4. არასაწარმოო (საერთოსამეურნეო) დანიშნულების ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა 123 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე;
5. სტ – ღონისძიებები 787 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე;
6. ღონისძიებები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 100 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე;
7. სხვა ინვესტიციები 1,890 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე.

## X. საქმიანობა შესყიდვების დარგში

შესყიდვების საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

– სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 14.06.2019 წ. გადაწყვეტილებით, სს-ს ოქმი N222, დამტკიცებული დებულება სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშოების და მომსახურებების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ;

– სს „თელასის“ 17.06.2016 წლის №398 ბრძანებით დამტკიცებული, სს „თელასის“ შწკპ-ს ფორმირების, კორექტირების და შესრულების კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტით;

– სს „თელასის“ 26.12.2016 წლის №770 ბრძანებით დამტკიცებული, სს „თელასის“ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაობის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტით.

საზოგადოების 2019 წლის შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამა შეიცავს შესყიდვებს 751 ლოტის მიხედვით ღირებულებით 56 200 ათასი ლარი. 2019 წლის შედეგების

მიხედვით შწკპ-ს შესრულების მოცულობა (ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ოქმების/ერთპიროვნული საშემსრულებლო ორგანოს გადაწყვეტილებების შესაბამისად შწკპ-ში ცვლილებების შეტანის გათვალისწინებით) ღირებულების მიხედვით შეადგენს - 81,7%, ხოლო რაოდენობის მიხედვით - 97,2%.

2019 წელს ჩატარდა რეგლამენტირებული საკონკურსო და კონკურსგარეშე შესყიდვა 730 ლოტის მიხედვით.

*ინფორმაცია 2019 წ. ჩატარებული შესყიდვების პროცედურების შესახებ გამარჯვებულის გამოვლენით.*

| შესყიდვების რაოდენობა | | გამარჯვებულთა რაოდენობა | |
|---|---|---|---|
| მტრ | სამუშაოები/მომსახურება | სამუშაოები/მომსახურება | მტრ |
| 280 | 450 | 450 | 280 |

## XI. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა

სს „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა (რმდაშკს), რომელიც მოქმედებდა 2019 წლის განმავლობაში, წარმოადგენს „ინტერ რაო“-ს ჯგუფის რისკების მართვის და შიდა კონტროლის კორპორაციული სისტემის ნაწილს. საზოგადოების რმდაშკს-ს ორგანიზების ფარგლებში, დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც ახორციელებს საზოგადოების რისკების პრინციპების რეგლამენტირებას, გამოვლენებისადმი, შეფასებისადმი და მართვისადმი მიდგომას:

1. სს „თელასის“ რისკების კორპორაციული მართვის პოლიტიკა (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №216, 14.02.2019წ.);
2. სს „თელასის“ „რისკების მართვა და შიდა კონტროლი“ პროცესის რეგლამენტი პრ-560-1 (გდ-ის 12.03.2019 წ. N204 ბრძანება);
3. მეთოდიკა „რისკების მართვის ღონისძიებების ფორმირება და ანგარიშგება მათი შესრულების შესახებ“ მთ-538-1 (გდ-ის 22.02.2019 წ. N151 ბრძანება);
4. მეთოდიკა „საპროექტო რისკების მართვა“ მთ-539-1 (გდ-ის 22.02.2019წ N152 ბრძანება);
5. მეთოდიკა „რისკების და რისკების ფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება“ მთ-540-1 (გდ-ის 12.03.2019 წ. N208 ბრძანება);
6. მეთოდიკა „კონტროლის პროცედურების შემუშავება და ოპტიმალური შიდა კონტროლის აგება“ მთ-541-1 (გდ-ის 12.03.2019წ. N205 ბრძანება);
7. მეთოდიკა „რისკების, რისკების ფაქტორების დასაშვები დონეების განსაზღვრა და მათი პრიორიტიზაცია“ მთ-542-1 (გდ-ის 12.03.2019წ. N207 ბრძანება);

8. პროცესის რეგლამენტი „სს „თელასის“ ფინანსური რისკების მართვა“ (სამეთვალყურეო საბჭოს 21.08.2017წ. N185 ოქმი);

9. მეთოდიკა „სს „თელასის“ ფინანსური რისკების მართვა“ (სამეთვალყურეო საბჭოს 21.08.2017წ. N185 ოქმი).

რისკების მართვა ხორციელდებოდა რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის კომპანიაში შემუშავებული ძირითადი დოკუმენტებით - საზოგადოების 2019-2020 წლების რისკების მართვის მიზნებისთვის მიზნობრივი ორიენტირები, ასევე დამტკიცებულია სს „თელასის“ 2019-2020 წლების ტიპური რისკების ჩამონათვალი (სს „თელასის“ 2018 წლის 26 სექტემბრის N607 ბრძანება), ასევე 2019 წლის რისკ-აპეტიტი, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 22.07.2019 წ. გადაწყვეტილებით, სს -ს N224 ოქმი.

სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობაა მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება და ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში.

ძირითად რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

**დარგობრივი რისკები.** დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს საზოგადოების ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. სემეკ-ის 27.12.2017 წ. №48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში №33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან სს „თელასისთვის“ დადგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და სატრანზიტო აბონენტებისთვის ძაბვის მიხედვით.

**ქვეყნის და რეგიონალური რისკები.** ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც სს „თელასის“ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონოდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს სს „თელასის“ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელურობაზე, ძირითადად ხელსაყრელია.

შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები რეგიონში არ არსებობს.

**ფინანსური რისკები.** თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

*ინფლაცია და სავალუტო კურსი.* საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

| თვე | გეგმა | ფაქტი |
|---|---|---|
| იანვარი | 2.62 | 2.6550 |
| თებერვალი | 2.62 | 2.6940 |
| მარტი | 2.65 | 2.6914 |
| აპრილი | 2.67 | 2.7007 |
| მაისი | 2.67 | 2.8023 |
| ივნისი | 2.69 | 2.8687 |
| ივლისი | 2.72 | 2.9507 |
| აგვისტო | 2.72 | 2.9457 |
| სექტემბერი | 2.74 | 2.9552 |
| ოქტომბერი | 2.76 | 2.9632 |
| ნოემბერი | 2.76 | 2.9695 |
| დეკემბერი | 2.78 | 2.8677 |

**საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.** შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

**საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.** საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

**გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.** გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „თელასის“ მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

**სამართლებრივი რისკები.** სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

**მოსახლეობის გადახდისუნარიანობა.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად (www.geostat.ge) ბოლო წლებში შეიმჩნევა მშპ-ს ზრდის ტენდენცია და უმუშევრობის დონის შემცირება, რაც დადებითად აისახება საერთო ფულადი მასის ზრდაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და თბილისის ადმინისტრაციასთან დამყარებული კონსტრუქციული ურთიერთობები, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალი, ხარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას აძლევს საშუალებას განახორციელოს თავისი საქმიანობა ელექტროენერგეტიკისათვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

2019 წლის ბოლოს, „ინტერ რაო“-ს ჯგუფის კომპანიებში რისკების მართვის და შიდა კონტროლის სამუშაოების ორგანიზებისა და სტანდარტიზაციის მიზნით, შეტანილი იქნა ცვლილებები რისკების მართვის სისტემის მუშაობაში, რომელთა ფარგლებშიც გაუქმდა არსებული შიდა ნორმატიული დოკუმენტები და დაიწყო რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ახალი ნორმატიული დოკემენტების დანერგვის სამუშაოები. ასევე 2019 წელს ორგანიზებული იქნა საზოგადოების მუშაკების სწავლება რისკების მართვის და შიდა კონტროლის სფეროში.

## XII. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

**საკრედიტო რისკები**

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს მოთხოვნილი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. კომპანია წარმოადგენს მონოპოლისტს ქ. თბილისში და მისი საქმიანობის რეგულირება ხორციელდება განსაზღვრული დებულებებით, ამიტომ საიმედო მომხმარებლების შერჩევასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლებლობები შეზღუდულია. საკრედტო რისკის მართვის მიზნით, კომპანია მიმართავს გადაუხდელობის გამო მომხმარებელთა ქსელიდან დროულ გათიშვას, თუმცა, კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული ადგილმდებაროების გათვალისწინებით არსებობს იმის რისკი, რომ ყველა მომხმარებელი - მოვალე ვერ იქნება დროულად გათიშული. ასევე არსებობს გათიშული მომხმარებლების მხრიდან უკანონოდ მიერთების რისკიც. ამასთან, კომპანია ემსახურება მომხმარებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალური სექტორის კატეგორიას და რომელთა გათიშვაც შესაძლოა უკავშირდებოდეს სირთულეებს მაშინაც კი, თუ ისინი არღვევენ მომსახურების ღირებულების გადახდის პირობებს. პრობლემური მომხმარებლების დროული იდენტიფიცირების და დავალიანებისთვის სათანადო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა ახორციელებს რეზერვირების კონსერვატიულ პოლიტიკას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი ოდენობის საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლებით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, კონტრაგენტი ბანკების შერჩევის მოქმედი კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებული სს-ს 2017 წლის 21 დეკემბრის N191 ოქმით და რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

**საბაზრო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად უკავშირდება კომპანიისთვის დადგენილ ტარიფებს (ტარიფები ზემოქმედებას ახდენს ელექტროენერგიის შეძენის ფასზე და ფასზე, რომელიც შესაძლებელია დადგენილი იყოს აბონენტებისთვის, მოხმარებული ენერგიისთვის). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ზოგიერთი ტარიფის დადგენაზე, ტარიფების დონეების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღება მისი მონაწილეობის გარეშე.

ამასთან, კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო და სპეციფიური რყევების ზემოქმედებას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოსახული, შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

| ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დოლარებში | 2018 (ათასი ლარი) | 2019 (ათასი ლარი) |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 156 | 220 |
| პროცენტიანი კრედიტები და სესხები | - | - |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება | (721) | (211) |
| საიჯარო ვალდებულებები | (1 953) | (1 824) |
| **ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(2 518)** | **(1 815)** |

სხვა ვალუტაში გამოსახული თანხები და სავალუტო კურსების შესაბამისი ცვლილებები უმნიშვნელოა რისკის ანალიზის მიზნებისთვის.

**ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი**

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის მეშვეობით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

## XIII. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან, როგორიცაა:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

**არსებობა და წარმოქმნა** – აქტივები, ვალდებულებები და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

**სისრულე (დროულობა)** – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

**უფლებები და ვალდებულებები** – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

**შეფასება და განაწილება** – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

**სიზუსტე** – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი თანხებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

**წარდგენა და გახსნა** – ფინანსური ანგარიშგების მუხლები სათანადოდ აღწერილი, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

## XIV. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისად (მუხლი 6, პუნქტი 6.3 ქვეპუნქტი 3) აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2019 წელს, საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, 2018 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდა არ მომხდარა.

| | **2014წ.** შედეგების მიხედვით | **2015 წ.** შედეგების მიხედვით | **2016 წ.** შედეგების მიხედვით | წინა წლების მოგებიდან (გადახდილია **2017წ.)** | **2017 წ.** შედეგების მიხედვით | **2018 წ.** შედეგების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|
| დივიდენდების საერთო თანხა | 8 802 000 ლარი | - | - | 20 000 000 ლარი | - | - |
| დივიდენდების ოდენობა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე | 0.08 ლარი | - | - | 0.18 ლარი | - | - |
| დივიდენდების შემოსავლიანობა ჩვეულებრივი აქციების შესაბამისად | 0.08 ლარი | - | - | 0.18 ლარი | - | - |

## XV. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი თითოეული. სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგნაირად გამოიყურება:

| ფასიანი ქაღალდების კლასი | ბენეფიციარი მესაკუთრის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი | საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების მფლობელობის სახეობა | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა |
|---|---|---|---|
| ჩვეულებრივი აქცია | **Silk Road Holdings B.V.** (ნიდერლანდი) | 84 443 957 აქცია საერთო თანხით | 75.108 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 84 443 957.00 ლარი | |
| ჩვეულებრივი აქცია | **სს „საპარტნიორო ფონდი“** (საკუთრების უფლებით), **საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო** (მართვის უფლებით) | 27 577 837 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი | 24.529 |
| ჩვეულებრივი აქცია | **დანარჩენი აქციონერები** | 407 624 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი | 0.363 |
| სულ | | **112 429 418 აქცია** | **100** |

*სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*




## XVI. აქციონერთა და აქციონერთა საერო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს წესდების 6.3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის

საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ წესდების 20.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონირების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას. საზოგადოების აქციებზე აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

## XVII. კორპორაციული მართვა.
## საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს „თელასის“ საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის მუშაობის შეჯამებისას, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 16 სხდომა ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც არსებითი გავლენა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგია:

1. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;
2. გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას (საზოგადოების 2019 წლის ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო პროგრამის და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება).

საზოგადოების წესდების და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 6 ადამიანით. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააქციო საზოგადოება ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, ერთი წევრი უნდა იყოს პირი, რომელიც არ არის საზოგადოების თანამშრომელი - დამოუკიდებელი პირი.

აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით (13.05.2019წ. ოქმი), საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნენ:

*ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*
დაბადების წელი: 1969
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ რაო“-ს ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.03.2013
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*კრილიჩევსკი ევგენი ვლადიმირის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*
დაბადების წელი: 1973
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სს „ობორონენერგო“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ფილიალის „სევერო-ზაპადნი“ დირექტორი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 22.05.2017
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*აბრამკოვი ალექსანდრ ევგენის ძე – სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*
დაბადების წელი: 1977
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სსს „როსტელეკომი“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ საკითხებში, ვიცე-პრეზიდენტი - მაკრორეგიონალური ფილიალის „ცენტრი“ დირექტორი.
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 08.02.2017

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*სამარინი სერგეი ვალენტინის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*
დაბადების წელი: 1973
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ-რაო“-ს წარმოების განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 14.05.2018
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*ტყემალაძე ირაკლი ზურაბის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*
დაბადების წელი: 1970
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: T Group LTD
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: T Group LTD-ს დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი
მოქალაქეობა: საქართველო
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 27.10.2017
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*ჩიქოვანი გიორგი ზაზას ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*
დაბადების წელი: 1977
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორი
მოქალაქეობა: საქართველო
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 13.05.2019
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*13.05.2019წ-მდე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში აგრეთვე შედიოდა:*

*ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*
დაბადების წელი: 1944
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სს „თელასი“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „თელასის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი

მოქალაქეობა: საქართველო
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 15.12.1998
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

## XVIII. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო გათვალისწინებული არ არის.

სამეთვალყურეო საბჭოს 28.03.2013 წ. გადაწყვეტილებით (2013 წლის 28 მარტის ოქმი №94) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე.

*კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი*
დაბადების წელი: 1972
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სს „თელასი“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პირველად დაინიშნა: 01.04.2013
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

## XIX. საზოგადოების მიერ 2019 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის და ოდენობის კრიტერიუმები

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა 2009 წლის 11 მარტის საერთო კრებაზე დამტკიცებული სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციების გადახდის შესახებ დებულების საფუძველზე.
2019 წლის შედეგებით ანაზღაურებებმა შეადგინა:

| №№ | გვარი და სახელი | ყველა ანაზღაურების ერთიანი ოდენობა, რომელიც გადახდილი იქნა **2019** წელს (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ვოლკოვი დიმიტრი | - |
| 2 | აბრამკოვი ალექსანდრე | 8 325.13 |
| 3 | კრილიჩევსკი ევგენი | 8 325.13 |
| 4 | სამარინი სერგეი | - |

| | | |
|---|---|---|
| 5 | ჩიქოვანი გიორგი | 4 407.44 |
| 6 | ტყემალაძე ირაკლი | 8 495.04 |
| 7 | ჭინჭარაული თემური | 4 005.85 |
| | **სულ:** | **33 558.59** |

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა ვოლკოვმა დ.ე. და სამარინმა ს.ვ. უარი თქვეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობის ანაზღაურებაზე.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციის გადახდის შესახებ დებულება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გადახდას სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად და ასევე დამატებითი ანაზღაურების გადახდას აქციონერთა საერთო კრების მიერ დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ფინანსური წლის შედეგების მიხედვით.

## XX. საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა

საზოგადოებაში დანერგილია და ფუნქციონირებს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა (რმდაშკს).

რმდაშკს ფარგლებში საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციის რეალიზაციას ახორციელებს რისკების მართვის და შიდა კონტროლის საქმიანობის კოორდინაციაზე საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირი.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2019წ. 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცდა სააქციო საზოგადოება „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკა (14.02.2019. ოქმი №216).

ასევე სს „თელასის“ 12.03.2019წ. №205 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდიკა: „კონტროლის პროცედურების შემუშვება და ოპტიმალური შიდა კონტროლის აგება მთ-541-1.

სს „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა რომელიც მოქმედებდა 2019 წლის განმავლობაში, წარმოადგენდა საორგანიზაციო ღონიესძიებების, მეთოდიკების, პროცედურების, კორპორაციული კულტურის ნორმების და მოქმედებების ერთიანობას, რომლებსაც საზოგადოება ახორციელებდა ღირებულების ზრდას, მომგებიანობას და რისკებს შორის ოპტიმალური ბალანსის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების მიზნების მისაღწევად გარანტიების შექმნისთვის (მათ შორის ფინანსური მდგრადობის, აქტივების შენარჩუნების, სამეურნეო საქმიანობის ეფექტური განხორციელების, კანონმდებლობის და შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვის, უტყუარი ანგარიშგების მომზადების უზრუნველყოფის მიზნით).

რისკების მართვის და შიდა კონტროლი სფეროში, საზოგადოების მიერ რმდაშკს ფარგლებში განსახორციელებელ მიზნებს წარმოადგენს:

- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი, კონტროლის ორგანოების, აქციონერების და ინვესტორების გონივრული დაჯერებულობის უზრუნველყოფა საქმიანობის სტრატეგიული და საოპერაციო მიზნების მიღწევაში;
- ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის და რესურსების ეკონომიური გამოყენების უზრუნველყოფა;
- აქტივების დაცულობის უზრუნველყოფა;

- საკანონმდებლო და შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვის კონტროლი;
- ანგარიშგების სისრულის და უტყუარობის უზრუნველყოფა.

შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით საზოგადოებაში შემუშავდა და დაინერგა შემდეგი ღონისძიებები:

სს „თელასის“ 22.04.2014 №166 ბრძანებით დამტკიცდა დებულება სს „თელასში“ თაღლითობასა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 08.12.2016წ. გადაწყვეტილებით (ოქმი №166, 08.12.2016წ.) საზოგადოება შეუერთდა სსს „ინტერ რაო“-ს პოლიტიკას თაღლითობასა და კორუფციასთან ბროძლის შესახებ, რომელიც დამტკიცდა სსს „ინტერ რაო“-ს დირექტორთა საბჭოს მიერ 29.09.2016წ.

პოლიტიკა წარმოადგენს საბაზისო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს „ინტერ რაო“-ს ჯგუფის საქმიანობის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და მიმართულებებს თაღლითობასა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში, რომლის შექმნის მიზანია ჯგუფის სტრუქტურული ქვედანაყოფების და კომპანიების მუშაკების საქმიანობის კოორდინაცია, რომელიც მიმართულია კანონსაწინააღმდეგო თაღლითური მოქმედებების და კორუფციული გამოვლინებების პროფილაქტიკაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე, მისი ბიზნეს-პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რისკების მართვა და შიდა კონტროლი წარმოადგენს უწყვეტ ციკლურ პროცესს, რომლის რეალიზაცია საზოგადოებაში ხორციელდება. კალენდარული წლის ჰორიზონტზე რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის პროცესების რეალიზაცია ხდება რისკების მართვის და შიდა კონტროლის ციკლის ფარგლებში.

რისკების მართვის და შიდა კონტროლის ციკლი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ეტაპების თანმიმდევრობას, რომელთა ფარგლებში პერიოდულ საფუძველზე ხდება შემდეგი პროცესების რეალიზაცია:

- რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის მიზნობრივი ორიენტირების განსაზღვრა;
- რისკების გამოვლენა კონტროლს დაქვემდებარებული და არაკონტროლირებადი ფაქტორების გათვალისწინებით;
- რისკების და რისკ-ფაქტორების შეფასებები და პრიორიტიზაცია;
- რისკებზე რეაგირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, რაც მოიცავს:
- კონტროლის პროცედურებს;
- რისკების და რისკ-ფაქტორების მონიტორინგს და კონტროლს;
- პერიოდული და წლიური ანგარიშგების ფორმირებას და რისკების მართვასთან და შიდა კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაციის გახსნას;
- რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შფასებას.

პრინციპებს, რომლებითაც საზოგადოება ხელმძღვანელობს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სფეროში, წარმოადგენს: მეთოდოლოგიური ბაზის მთლიანობა, ფუნქციონირების უწყვეტობა, ადაპტიურობა, ერთიანობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილების გამიჯვნა, პრიორიტიზაცია და გონებრივი საკმარისობა, თანამედროვეობა და პრევენტულობა, მუდმივი

განვითარება და სრულყოფა, კორუფციის და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კომპლაენს უზრუნველყოფა.

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა ასევე მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს, რომლის ამოცანებია რისკების მართვის, შიდა კონტროლის სისტემის და კორპორაციული მართვის საიმედოობის და ეფექტური ფუნქციონირების კონტროლი, სამეთვალყურეო საბჭოსათვის რეკომენდაციების შემუშავება საზოგადოების აუდიტის და ანგარიშგების სფეროში. გარე აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა, გარე აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობა და აუდიტორული შემოწმების შესრულების და აუდიტორთა დასკვნების შესრულების ხარისხის შეფასება. კონტროლი საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების სისრულის, სიზუსტისა და უტყუარობის უზრუნველყოფაზე.

საზოგადოების მუშაკების და მესამე პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების (ინსაიდერული ან კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენების ჩათვლით), ასევე საზოგადოებაში სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების კონტროლი. კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ზომებზე მუშაკების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების ან სხვა დარღვევების პოტენციური შემთხვევების ინფორმირების ფაქტებთან დაკავშირებით.

## XXI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

**პერსონალის მართვა**

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

**საკადრო პოლიტიკა**

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი მდგენელების მეშვეობით, როგორიცაა:

- კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომითი კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „თელასის“ მუშაკების რიცხოვნობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2012 ადამიანს. 2019 წელს საზოგადოებაში გათავისუფლებულ იქნა 98 თანამშრომელი და სამუშაოზე მიღებულ იქნა 44 ადამიანი.

*მუშაკების სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით*

(ადამიანი)

| წელი | ხელმძღვანელები | სპეციალისტები | მოსამსახურეები | მუშები | სულ**ი** |
|---|---|---|---|---|---|
| 2018 წელი | 157 | 528 | 28 | 1353 | 2066 |
| 2019 წელი | 148 | 536 | 28 | 1300 | 2012 |




*პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით*

სს „თელასის“ მუშაკების ასაკობრივი დონე 31.12.2019 მდგომარეობით შეადგენს: 25 წლამდე (ჩათვლით) - 15 ად., 26-დან 30 წლამდე - 92 ად., 31-დან 40 წლამდე - 291 ად., 41-დან 50 წლამდე - 549 ად., 51-დან 55 წლამდე - 296 ად. და 55 წელზე უფროსი - 769 ად. 31.12.2019წ. მდგომარეობით მუშაკთა საშუალო ასაკი შეადგენს 50,07 წელს.




*მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა*

სს „თელასის“ მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა 31.12.2019წ. მდგომარეობით შემდეგია: მუშაკები უმაღლესი განათლებით - 1401 ად., საშუალო-სპეციალური განათლებით - 271 ად. და საშუალო განათლებით - 340 ად.




სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული საწარმოო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიულად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამომუშავებაზე. მოცემული პროგრამის ძირითადი მიზანია თანამშრომლების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების (მოვალეობების) შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავებების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

2019 წლის განმავლობაში სს „თელასში“ სწავლება და გადამზადება გარე სასწავლო ცენტრებში გაიარა 138 თანამშრომელმა, ასევე სს „თელასის“ შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების სასწავლო ცენტრში და SAP სისტემის დანერგვისა და განვითარების განყოფილებაში - 2012 თანამშრომელმა.

საწარმოო პერსონალი სრულად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პერსონალის სწავლება ტარდება საქართველოს, რუსეთის ფედერაციის სასწავლო ცენტრებში და საკუთარ სასწავლო ცენტრში-კაბინეტში.

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია განვითარებაზე XXI საუკუნის უახლესი ტრენდების შესაბამისად, მათ შორის: კორპორაციული პიროვნებათაშორისი ურთიერთმოქმედების პროგრამების განვითარება; ონლაინ კურსების რაოდენობის ზრდა; სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტრის ექსპანსიის გაზრდა; სამუშაო ძალის შემადგენლობის გაუმჯობესება; აქცენტი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე და ა.შ.

სს „თელასის“ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, საკადრო პოლიტიკა აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. პერსონალის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგებთან.

2. საკადრო სტრატეგიის და პოლიტიკის მოქნილობა.
3. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე.
4. მუშაკების ანაზღაურება მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე.
5. მუშაკებისათვის ინდივიდუალური თვისებების რეალიზაციისათვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
6. პერსონალისათვის საზოგადოების საკადრო სტრატეგიის გახსნილობა და ხელმისაწვდომობა.
7. შესაბამისობის დაცვა მუშაკების კარიერულ ზრდასა და მათი პროფესიული დონის ამაღლებას შორის.
8. ფასეულობების კორპორაციული სისტემის და წარმოების კულტურის უზრუნველყოფა და განვითარება.

## *სოციალური პარტნიორობა*

სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და სს „თელასის“ მუშაკებს შორის 2019 წელს ხორციელდებოდა საქართველოს ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მომსახურების დარგის მუშაკების პროფკავშირსა და სს „თელასის“ ადმინისტრაციას შორის დადებული კოლექტიური შეთანხმების ფორმატში. კოლექტიური შეთანხმება მიზნად ისახავს საზოგადოების მუშაკების სოციალური და ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას, მუშაკების საკმარისი ცხოვრების საკმარისი დონის შენარჩუნებას და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფას.

10.01.2017 დამტკიცდა „დებულება სს „თელასის“ თანამშრომელთა მატერიალური დახმარების ფონდის შესახებ“, რომელიც შეიქმნა საზოგადოების თანამშრომელთათვის დამატებითი მატერიალური დახმარების გასაწევად, მუშაკის ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი გარემოებების, კრიტიკული მოვლენების წარმოქმნის შემთხვევაში. 2019 წლის განმავლობაში მატერიალური დახმარება გაეწია საზოგადოების 54 თანამშრომელს 86 494 ლარის ოდენობით.

## *კორპორაციულ-სპორტული ღონისძიებები*

2019 წელს, სს „თელასში“, პროექტის „შიდა კომუნიკაციების განვითარება“ ფარგლებში, ჩატარდა შემდეგი კორპორაციულ-სპორტული ღონისძიებები:

- ტურნირი მინი-ფეხბურთში - მონაწილეობა მიიღო 96 თანამშრომელმა (10 გუნდი);
- ტურნირი ბილიარდში - მონაწილეობა მიიღო 16 თანამშრომელმა;
- ტურნირი ჭადრაკში - მონაწილეობა მიიღო 4 თანამშრომელმა;
- ტურნირი ბოულინგში - მონაწილეობა მიიღო 57 თანამშრომელმა;
- ტურნირი ჯომარდობაში - მონაწილეობა მიიღო 18 თანამშრომელმა.

## XXII. გარემოს დაცვა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „თელასი“ არ მიეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ მიზეზით, 2019 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.

2018 წლის მაისში საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე აუდიტორულმა ორგანიზაციამ შპს „ინტერტეკმა“ ჩაატარა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის (რესერტიფიკაციის) გარე აუდიტი საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2015 მოთხოვნების თანახმად. აუდიტის დასკვნის საფუძველზე სს „თელასმა“ მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი (გაცემის თარიღი: 2018 წლის 28 მაისი; მოქმედების ვადა: 2021 წლის 7 ივნისი). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სს „თელასის“ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი გადასინჯულია და მოყვანილია შესაბამისობაში მითითებული სტანდარტის მოთხოვნებთან.

2019 წელს ჩატარდა კომპანიის 280 თანამშრომლის სწავლება ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის საკითხებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სს „თელასმა“ შეიმუშავა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეათანხმა დოკუმენტი ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის შესახებ და ნარჩენების მართვის სამწლიანი გეგმა.

კომპანია ატარებს თავისი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## XXIII. ცნობები საზოგადოების მიერ საანგარიშო წელს დადებული მსხვილი გარიგებების შესახებ

2019 წელს გარიგებებები, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგაოდების აქტივების ღირებულების 10-დან (ათი) 50 (ორმოცდაათი) პროცენტამდე ჩათვლით, და გარიგებები, რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს, სს „თელასს“ არ დაუდია.

## XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის შესახებ

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსი დამტკიცებული იყო სამეთვალყურეო საბჭოს 26.06.2013 გადაწყვეტილებით (26.06.2013 ოქმი N100).

წინამდებარე კოდექსის მიზნებს წარმოადგენს სს „თელასის“ კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, საზოგადოების მართვის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტების შესასრულებლად საზოგადოების უცვლელი მზადყოფნის დადასტურება.

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, საზოგადოების მართვა ხორციელდება პასუხისმგებლობის და ანგარიშგების სათანადო დონის დაცვით,

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ორგანოები ეფქტურად მუშაობენ საზოგადოების და მისი აქციონერების ინტერესებში და ქმნიან პირობებს სააქციო ღირებულების მდგრადი ზრდისათვის, უზრუნველყოფენ ინფორმაციის სათანადო გახსნას, გამჭვირვალობას, ასევე ეფექტურად მუშაობს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემები.

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსი განთავსებულია საზოგადოების ოფიციალურ საიტზე (www.telasi.ge).

## XXV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ

ცხრილში მოყვანილია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების აქტივების ღირებულების და საწესდებო კაპიტალის ცვლილების დინამიკას 2015 - 2019 წლებში.

*ათასი ლარი*

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|
| საწესდებო კაპიტალი | 112 429 | 112 429 | 112 429 | 112 429 | 112 429 |
| წმინდა აქტივები | 112 539 | 151 259 | 153 383 | 180 637 | 194 923 |



## XXVI. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისთვის

**სს „თელასის“ იურიდიული მისამართი:**
სს „თელასი“, 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო
**სს „თელასის“ საფოსტო მისამართი:**
სს „თელასი“, 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო
**ელექტრონული ფოსტის მისამართი:**
ელ-ფოსტა: inform@telasi.ge

**მისამართი ინტერნეტში:**
http//www.telasi.ge

**ს/კ:** 202052580
**ა/ანგარიში:** სს "ვი თი ბი ბანკი" UGEBGE22,
ს/ა GE83VT6600000000508302

**საკონტაქტო პირი:**
*მილაშვილი მაგდალინა შოთას ასული*
*გენერალური დირექტორის თანაშემწე*
*ელ-ფოსტა: lina.milashvili@telasi.ge*
*ტელეფონი: +995 32 277-99-99*

**საზოგადოების რეესტრის მწარმოებელი - სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“** (ლიცენზია #70-0006 გაცემულია 2000 წლის 26 იანვარს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ). ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება ხორციელდებოდა 2014 წლის 1 აპრილის # cp-394/515 ხელშეკრულების თანახმად.
**მისამართი:** საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74ა. (მოსაშვილის ქ. #11)
ტელ.: (99532)222-53-51, 225-15-60
ფაქსი: (99532) 225-15-60

**დარიცხული დივიდენდების გადახდის და აქციონერებისთვის ინფორმაციის წვდომის მიღების საკითხებზე შეიძლება მიმართოთ:**
**მისამართი:** 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო
**საკონტაქტო ტელეფონები:** +995322779999 (1 7768)

**საზოგადოების აუდიტორი – EY Georgia LLC**.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის #96 დადგენილების თანახმად კომპანიას მიეცა აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლება. აუდიტორული მომსახურების გაწევა ხდებოდა 2017 წლის 14 ივლისის № JSC Telasi/Audit/2017-2018 ხელშეკრულების შესაბამისად.
**მისამართი:** საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. №44
ტელ.: (99532) 215 88 11
ფაქსი: (99532) 215 88 22

# XXVIII. დანართი №2 - ანგარიში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2019 წელს

| ორგანიზაცია | დავალებების საერთო რაოდენობა | დავალებების რაოდენობა შესრულების ვადით საანგარიშო პერიოდში | | | | | მოხსნილია კონტროლიდან | დავალებების რაოდენობა შესრულების სტადიაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის, სტატუსით | | | | | |
| | | | შესრულებულია | არ არის შესრულებული | შესრულებულია დარღვევით | შესრულებულია ნორმალიზაციით | | |
| სს „თელასი’ | 94 | 79 | 78 | | | 1 | | 15 |
| სულ | **94** | **79** | **78** | | | **1** | | **15** |

| ორგანიზაცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღონისძიების სახე | ჩატარების თარიღი | ოქმის/გადაწყვეტილების რეკვიზიტები № | ოქმის/გადაწყვეტილების რეკვიზიტები თარიღი | | | |
| დავალებების ჩამონათვალი | | | | | | |
| დავალებების შინაარსი | | | | | | |
| შესრულების გეგმიური თარიღი | განსაკუთრებული პირობების განმარტება | შესრულების ფაქტობრივი თარიღი /კონტროლიდან მოხსნის თარიღი / ანგარიშში აღრიცხვის თარიღი | შესრულების სტატუსი | დავალებას თან დაკავშირებული ანგარიშების პერიოდულობა | პასუხისმგებელი პირები | შესრულების სტატუსის განმარტება |
| სს „თელასი“ | | | | | | |
| სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა | **31.05.2012** | **№67** | **06.06.2012** | | | |
| 2.2. ცნობების ცვლილებისას საზოგადოების მესაკუთრე აქციონერების (მონაწილეების) ჯაჭვის შესახებ, ასევე მისი ყველა დონის შდს/დშს და კომპანიების შესახებ, რომლებშიც საზოგადოება და მისი დშს/შდს ფლობენ ნებისმიერ წილს საბოლოო ბენეფიციარამდე (სარგებლის მიმღებამდე) წარმოადგინონ ცნობები ამგვარი ცვლილებების შესახებ შპს „ინტერ რაო ეეს ფინანს“ -ში არა უგვიანეს 1 (ერთი ) კალენდარული დღისა იმ მომენტიდან, როცა საზოგადოებამ შეიტყო ან უნდა შეეტყო შესაბამისი ცვლილებების შესახებ. . | | | | | | |
| 31.03.2019 | | 31.03.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | სრულდება მუდმივ საფუძველზე. ცვლილებები არ შეტანილა. |
| 30.06.2019 | | 30.06.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლურად | სერგეი ნიკოლაის | სრულდება მუდმივ საფუძველზე. ცვლილებები არ შეტანილა. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ძე კობცევი; | |
| 30.09.2019 | | 30.09.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | სრულდება მუდმივ საფუძველზე. ცვლილებები არ შეტანილა. |
| 31.12.2019 | | 31.12.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | სრულდება მუდმივ საფუძველზე. ცვლილებები არ შეტანილა. |
| 31.03.2020 | | | შესრულების სტადიაშია | ყოველკვარტლურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | ვადა არ დამდგარა |
| დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს:<br>2.1 უზრუნველყოს ყოველთვიურად, თითოეული თვის 25 რიცხვამდე, ცნობების გამჟღავნება საზოგადოების მესაკუთრე აქციონერების (მონაწილეების) ჯაჭვის შესახებ, ასევე მისი ყველა დონის დშს/შდს და კომპანიების შესახებ, რომლებშიც საზოგადოება და მისი დშს/შდს ფლობენ ნებისმიერ წილს საბოლოო ბენეფიციარამდე (სარგებლის მიმღებამდე) და წარმოადგინონ აღნიშნული ცნობები „ინტერ რაო ეეს ფინანს“ -ში დანართი #3-ის თანახმად<br>განსაზღვრული ფორმით. | | | | | | |
| 25.01.2019 | | 21.01.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს "ინტერ რაო"-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.02.2019 | | 20.02.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს "ინტერ რაო"-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.03.2019 | | 20.03.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს "ინტერ რაო"-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.04.2019 | | 19.04.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს "ინტერ რაო"-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.05.2019 | | 20.05.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს "ინტერ რაო"-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.06.2019 | | 20.06.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს "ინტერ რაო"-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 25.07.2019 | | 19.07.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს “ინტერ რაო”-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.08.2019 | | 20.08.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს “ინტერ რაო”-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.09.2019 | | 20.09.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს “ინტერ რაო”-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.10.2019 | | 21.10.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს “ინტერ რაო”-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.11.2019 | | 20.11.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს “ინტერ რაო”-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.12.2019 | | 20.12.2019 | შესრულებულია | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | დავალება სრულდება მუდმივად . ინფორმაცია გაგზავნილია სსს “ინტერ რაო”-ში შესყიდვების მართვის ცენტრში, დ.ა. მედვედნიკს ელ.მისამართზე medvedkin_da@interrao.ru. |
| 25.01.2020 | | | შესრულების სტადიაში | ყოველთვიურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | ვადა არ დამდგარა . |
| სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა | **04.12.2015** | **147** | **04.12.2015** | | | |
| დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს ცნობების ჩართვა დებულებაში მაკონტროლებელი პირისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების შესახებ, რომელიც ექვემდებარება გახსნას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (კონტროლს დაქვემდებარებული პირისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული პირების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების რაოდენობის შესახებ მათი ასლების დართვით, გარდა ინფორმაციისა გეგმების შესახებ, რომელიც იგზავნება დებულების პ.5.5-ის შესაბამისად), ანგარიშში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ, დაწყებული 2016 წლის 1-ლი კვარტლის ანგარიშიდან. | | | | | | |
| 31.03.2019 | | 31.03.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | სრულდება მუდმივ საფუძველზე-საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის მოვლენები, რომლებიც ექვემდებარება გამჟღავნებას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, არ მომხდარა. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 30.06.2019 | | 30.06.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლ ურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | სრულდება მუდმივ საფუძველზე- აღნიშნული ინფორმაცია გაგზავნილია ელექტრონულ ფოსტაზე disclosure@interrao.ru 13.05.2019 (წერილი №0513/755/19, 13.05.2019წ.). |
| 30.09.2019 | | 30.09.2019 | შესრულებულია | ყოველკვარტლ ურად | სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი; | სრულდება მუდმივ საფუძველზე- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის მოვლენები, რომლებიც ექვემდებარება გამჟღავნებას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, არ მომხდარა. |
